საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისი, დიდ დიღომი, პეტრე იბერის ქუჩა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა“.

შ.პ.ს. „ჯი არ სი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდ დიღომში, პეტრე იბერის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, პეტრე იბერის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზეე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2015 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ი. ცხომელიძე. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტების ლაბორატორიული თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრებები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე--------- 8გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. ჭრის გრაფიკები---------- 12გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 4ფურც
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 4ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 13 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით, ზომებით (27x27)მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება შენობის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 30.0 მეტრი. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად. ანგარიშში გამოყენებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს 2014 წელს, გვერდით მოედანზე ჩატარებული კვლევების მასალები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი (q,Q_{IV})
2. ფენა – 2 – თიხნარი (dp,Q_{IV})
3. ფენა –3 – ფიქლებრივი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა – $P_3+N_1^1$
4. ფენა – 3 – ფიქლებრივი თიხები – ($P_3+N_1^1$)

ანაგრიშში მოცემულია ზემოალნიშნული ფენების (გარდა ნაყარისა) ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები და მათი დახასიათება. მოცემულია აგრეთვე მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. თიხების სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ორ ჭაბურღილში. წყალი ზედაპირიდან განთავსებულია 13.6 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, დიდ დიღომში, პეტრე იბერის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით არის გათვალისწინებული. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ჩატარებულ სამუშაოებზე ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილ ანგარიშს ეძლევა დადებითი შეფასება და იგი შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/